



Tbilisi Open Teaching University

დამტკიცებულია აკადემიური და
წარმომადგენლობითი სენატის
2018 წლის 22 იანვრის №77 დადგენილებით

სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის დებულება

თავი I. შესავალი დებულებები

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი (შემდეგში-ცენტრი) არის უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეული, რომელიც შესაბამის პირობებს ქმნის გამოყენებითი და ფუნდამენტური ხასიათის კვლევების განსახორციელებლად.
2. ცენტრი თავისი კომპეტენციის ფარგლებში ანგარიშვალდებულია უნივერსიტეტის რექტორის წინაშე.
3. ცენტრი თავის საქმიანობას წარმართავს „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, შრომის კოდექსის, „მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და მათი განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონით, უნივერსიტეტის დებულების, წინამდებარე დებულების და უნივერსიტეტში მოქმედი სხვა სამართლებრივი აქტების საფუძველზე.
4. ცენტრის ფინანსები და ქონება განუყოფელია თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის ფინანსებისა და ქონებისაგან.

მუხლი 2. ცენტრის მიზნები

- ა) უნივერსიტეტის სამეცნიერო პოტენციალის გაძლიერება ;
- ბ) უნივერსიტეტის სამეცნიერო აქტივობების მენეჯმენტი;
- გ) საკონსულტაციო და საექსპერტო საქმიანობის განხორციელება;
- დ) ქვეყნის სამეცნიერო-ტექნოლოგიური პროგრესის ხელშეწყობა;
- ე) სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან /ორგანიზაციებთან თანამშრომლობა;
- ვ) ახალგაზრდა სამეცნიერო კადრების განვითარების ხელშეწყობა.
- ზ) საერთაშორისო სამეცნიერო თანამშრომლობის განვითარება;

თავი II. ცენტრის სტრუქტურა და მართვა

მუხლი 3. ცენტრის სტრუქტურა და ხელმძღვანელობა

1. ცენტრის სტრუქტურული ერთეულებია: კვლევითი პროექტების განყოფილება და სამეცნიერო პერიოდული გამოცემის სარედაქციო კოლეგია. ცენტრის მიზნებიდან გამომდინარე, შესაძლებელია სხვა სტრუქტურული ქვედანაყოფების შექმნაც.
2. ცენტრის საქმიანობას ხელმძღვანელობს დირექტორი, რომელსაც 4 წლის ვადით თანამდებობაზე ნიშნავს რექტორი მმართველობითი საბჭოს პრეზიდენტთან შეთანხმებით. ცენტრის დირექტორი ანგარიშვალდებულია უნივერსიტეტის რექტორის წინაშე;
3. ცენტრის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს ცენტრის დირექტორის წარდგინებით, მისივე უფლებამოსილების ვადით თანამდებობაზე ნიშნავს უნივერსიტეტის რექტორი.
4. ცენტრს ჰყავს თანამშრომლები.

მუხლი 4. აკადემიური და წარმომადგენლობითი სენატის უფლებამოსილება ცენტრთან მიმართებაში

1. უნივერსიტეტის აკადემიური და წარმომადგენლობითი სენატი:
- ა) სამეცნიერო კვლევაში ჩაურევლად განიხილავს და განსაზღვრავს ცენტრის სამეცნიერო საქმიანობის ძირითად მიმართულებებს;
 - ბ) ამტკიცებს ცენტრის მიერ წარდგენილ კვლევით პროექტებს;
 - გ) მოისმენს, განიხილავს და აფასებს ცენტრის საქმიანობის წლიურ ანგარიშებს და ცალკეული მეცნიერების სამეცნიერო მოხსენებებს;
 - დ) განიხილავს სხვა საგანმანათლებლო და სამეცნიერო დაწესებულებებთან თანამშრომლობის საკითხებს;
 - ე) უფლებამოსილია შეარჩიოს სამეცნიერო პერიოდული გამოცემების სარედაქციო კოლეგიები და პერიოდულად მოისმინოს მათი მუშაობის ანგარიშები;

მუხლი 5. ცენტრის დირექტორის უფლებამოსილება

1. ცენტრის დირექტორი:
- ა) შეიმუშავებს ცენტრის სტრუქტურისა და საშტატო განრიგისა და ბიუჯეტის პროექტს და დასამტკიცებლად წარუდგენს უნივერსიტეტის რექტორს;
 - ბ) საშტატო განრიგით გათვალისწინებულ თანამდებობებზე დასანიშნად წარუდგენს კანდიდატურებს უნივერსიტეტის რექტორს;
 - გ) ხელს უწყობს კონტაქტების განვითარებას საქართველოსა და უცხო ქვეყნების სამეცნიერო და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან;
 - დ) უნივერსიტეტში მეცნიერების განვითარების სტრატეგიიდან გამომდინარე ქმნის კვლევით ინსტიტუტებს, ლაბორატორიებს, მუდმივმოქმედ სემინარებს, სხვა ინსტიტუციებს, ორგანიზებას უწევს კონფერენციების, მრგვალი მაგიდებისა და სხვა სამეცნიერო ფორუმებს და დასამტკიცებლად წარუდგენს უნივერსიტეტის აკადემიურ და წარმომადგენლობით სენატს.
 - ე) არჩევს ეთიკის კომიტეტის წევრობის კანდიდატებს და სიას დასამტკიცებლად წარუდგენს რექტორს.
 - ვ) ხელს უწყობს სამეცნიერო და აკადემიური პერსონალის სამეცნიერო პოტენციალის სრულად გამოყენებას.
 - ზ) უნივერსიტეტის რექტორს წარუდგენს ცენტრის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშს;
 - თ) აკადემიურ და წარმომადგენლობით სენატთან შეთანხმებით იღებს გადაწყვეტილებებს სამეცნიერო ჟურნალების გამოცემის თაობაზე;

ო) უზრუნველყოფს ვებგვერდზე განსათავსებელი ინფორმაციის მიწოდებას შესაბამისი სამსახურისათვის;

კ) უფლებამოსილია კანონმდებლობით დადგენილი წესით რექტორს მიმართოს შუამდგომლობით თანამშრომელთა მიმართ წახალისებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომების გამოყენების შესახებ;

ლ) სათათბირო ხმის უფლებით ესწრება აკადემიური და წარმომადგენლობითი სენატის სხდომებს.

მუხლი 6. ცენტრის თანამშრომელი:

1. ცენტრის თანამშრომელი ანგარიშვალდებულია ცენტრის დირექტორის წინაშე და ახორციელებს:

ა) უნივერსიტეტის სამეცნიერო /აკადემიური პერსონალის და სტუდენტთა სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის კოორდინაციასა და მართვას;

ბ) ადგილობრივი და საერთაშორისო საგრანტო კონკურსების შესახებ ინფორმაციის მოძიებას და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას.

გ) უნივერსიტეტის სამეცნიერო /აკადემიური პერსონალის და სტუდენტთათვის სამეცნიერო ფორუმების ჩატარების ორგანიზებას.

დ) უნივერსიტეტის საბიბლიოთეკო ფონდების მონიტორინგს სამეცნიერო დანიშნულების წიგნადი და ციფრული რესურსით უზრუნველყოფის მიზნით, და შესაბამისი ღონისძიებების გატარებას .

ე) აქტივობებს თანამშრომელთა და სტუდენტთა სამეცნიერო მობილობის ხელშეწყობისათვის;

ვ) უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევით პროექტებში სტუდენტთა მონაწილეობის წახალისებისათვის საჭირო ღონისძიებების გატარებას.

ზ) ცენტრის პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი პროექტების ფართო საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას.

თ) ცენტრის დირექტორის სხვა დავალებებს.

მუხლი 7. კვლევითი პროექტების განყოფილება

1. კვლევითი პროექტების განყოფილების სამტატო განრიგს ამტკიცებს ცენტრის დირექტორი.

2. კვლევითი პროექტების განყოფილება:

ა) კანონმდებლობით დადგენილი წესით უნივერსიტეტის სახელით მონაწილეობს ეროვნული და საერთაშორისო სამეცნიერო ფონდების მიერ გამოცხადებულ საგრანტო კონკურსებში;

ბ) უნივერსიტეტის კვლევითი პროექტების განხილვის; დამტკიცებისა და მასში მონაწილეობის წესის შესაბამისად ახორციელებს უნივერსიტეტის მიერ დაფინანსებული კვლევითი პროექტების სრულ ადმინისტრირებასა და მონიტორინგს;

გ) უზრუნველყოფს კონკურსის შემთხვევაში, საკონკურსო პირობების შემუშავებასა და კონკურსის გამოცხადებას, კონსულტაციების ჩატარებას, მიღებული პროექტების ექსპერტიზას დარგობრივი სამეცნიერო-კვლევითი კომისიების მეშვეობით, საექსპერტო შეფასების საფუძველზე დასაფინანსებელი პროექტების გამოვლენასა და სენატისათვის წარდგენას;

დ) ამზადებს დამტკიცებული პროექტების ავტორებთან დასადაბი ხელშეკრულების პროექტს, ათანხმებს და გასაფორმებლად გადასცემს უნივერსიტეტის ადმინისტრაციას;

ე) სენატს სისტემატურად წარუდგენს ინფორმაციას მიმდინარე პროექტების შესახებ;

ვ) უზრუნველყოფს სამეცნიერო კვლევით თემებსა და პროექტებში მოწვეული პერსონალისა და სტუდენტების ჩართულობას;

ზ) ავრცელებს მიმდინარე და დასრულებული კვლევითი პროექტების და მათი შედეგების შესახებ ინფორმაციას.

მუხლი 8. ცენტრის სამეცნიერო საბჭო

1. ცენტრში იქმნება სამეცნიერო საბჭო, რომელშიც შედიან თანამდებობრივად ცენტრის დირექტორი (საბჭოს პრეზიდენტი), სკოლების დეკანები (სამეცნიერო ხარისხის არსებობის შემთხვევაში), საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელები, კვლევითი პროექტების განყოფილების უფროსი. სამეცნიერო საბჭოში ცენტრის დირექტორის გადაწყვეტილებით შეიძლება შეყვანილ იქნას სხვა პირები აკადემიური პერსონალიდან.

2. ცენტრის სამეცნიერო საბჭოში იქმნება სამეცნიერო კვლევითი თემების და საკონკურსო პროექტების განხილვის, ანალიზისა და შეფასებისათვის დარგობრივ - კვლევითი კომისიები, რომელთაც ხელმძღვანელობს სამეცნიერო საბჭოს წევრი და რომლის შემადგენლობაში შედიან შესაბამისი დარგის სპეციალისტები სამეცნიერო/აკადემიური პერსონალიდან. დარგობრივ კომისიებში შეიძლება იყოს წევრად უნივერსიტეტის მოწვეული პერსონალი და აგრეთვე, საჭიროების შემთხვევაში დარგის სპეციალისტები უნივერსიტეტის გარედან.

3. პროექტის ექსპერტიზას (საექსპერტო შეფასებას), როგორც წესი, ახდენს ცენტრის სამეცნიერო საბჭოს შესაბამისი დარგობრივი სამეცნიერო კომისია, ხოლო შესაბამისი თემატიკის კომისიის არ არსებობის პირობებში ცენტრის დირექტორის მიერ კონკრეტული შემთხვევისთვის შექმნილი სამეცნიერო კვლევების კომისია. ექსპერტიზის პროცესს ხელმძღვანელობს ცენტრის კვლევითი პროექტების განყოფილება.

მუხლი 9. ცენტრის დაფინანსება

1. ცენტრის დაფინანსების წყაროები შეიძლება იყოს:

- ა) უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი სახსრები;
- ბ) სამეცნიერო გრანტებით მიღებული შემოსავალი;
- გ) ხელშეკრულების საფუძველზე შესრულებული სამუშაოდან მიღებული შემოსავალი;
- დ) შემოწირულობები;
- ე) საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლები.

2. ცენტრის ყველა შემოსავალი და ხარჯი აისახება უნივერსიტეტის ბიუჯეტში.

მუხლი 10. მეცნიერთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა

მეცნიერთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მიზნით, ცენტრი:

- 1. დააფინანსებს უცხო ენის ან/და კომპიუტერული ტექნოლოგიების შემსწავლელ კურსებს;
- 2. დააფინანსებს უნივერსიტეტის სახელით მონოგრაფიების და სახელმძღვანელოების გამოცემას, მეცნიერთა ავტორობით;
- 3. უზრუნველყოფს მეცნიერთა აკადემიური განვითარების მიზნით უცხოეთში ან საქართველოში გამოცემული სასწავლო და სამეცნიერო ლიტერატურის, ინფორმაციის ელექტრონული მატარებლების, აუდიო ან ვიდეო მასალების ეგზემპლარების შესყიდვას პერსონალის მოთხოვნით;

4. უზრუნველყოფს მეცნიერთა უნივერსიტეტის განვითარების ინტერესებში სასწავლო და სამეცნიერო მივლინებების სრულ ან ნაწილობრივ დაფინანსებას.
5. მეცნიერთან გაფორმებული დამატებითი ხელშეკრულების საფუძველზე უზრუნველყოფს მათი საავტორო უფლებების დაცვას;
6. დააფინანსებს მეცნიერთა სამეცნიერო სტატიების გამოქვეყნებას რეფერირებად და საერთაშორისო იმპაქტ-ფაქტორის მქონე გამოცემებში;

თავი III. დებულებაში ცვლილებების და დამატებების შესახებ

მუხლი 11.

წინამდებარე დებულების მიღება, გაუქმება და მასში ცვლილებების შეტანა ხორციელდება აკადემიური და წარმომადგენლობითი სენატის მიერ.